UNIVERSITE FRANCO GEORGIENNE

INSTITUT FRANÇAIS GÉORGIE

კონკურსი

სადოქტორო მობილობა

სამთვიანი კვლევითი პროგრამა საფრანგეთში

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით, აცხადებს კონკურსს სამთვიანი სტიპენდიის მისაღებად დოქტორანტურის საფეხურის იმ ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში. ეს სტიპენდია მიზნად ისახავს საფრანგეთში კვლევითი პერიოდის დაფინანსებას, საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფარგლებში.

სტიპენდია (2610 ევროს ოდენობით სამი თვის პერიოდისთვის) დაფარავს მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს სრულად ან ნაწილობრივ. სასტიპენდიო პროგრამა განხორციელდება 2020 წელს.

სტიპენდიის გადარიცხვა მოხდება კამპუს ფრანსის მიერ, რომელიც ადმინისტრაციული დახმარების გაწევის მიზნით თითოეულ დოქტორანტს მიუჩენს შესაბამის პირს. ყველა სტუდენტი გაწევრიანდება კამპუს ფრანსის სოციალური დაცვის რეჟიმში (რომელიც მოიცავს "სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც") საფრანგეთში ყოფნის სამი თვის პერიოდისთვის.

კონკურსანტებმა უნდა შეადგინონ დოსიე, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- სათანადოდ შევსებული „კანდიდატის რეზიუმე" და „კანდიდატის საკვლევი პროექტი" (იხ. ქვემოთ)
- წერილობითი პრეზენტაცია მაქსიმუმ 6000 სიტყვა, რომელიც მოიცავს შემდეგს: 1) სადოქტორო დისერტაციის მთავარ თემა, მისი პრობლემა და მიმდინარეობა. 2) საფრანგეთში ჩასატარებელი კვლევითი პროექტი და მისი ძირითადი მიზნები. 3) აღნიშნული პროექტისთვის განსახორციელებლად საჭირო პირობები (მასპინძელი გუნდი, სხვა სამიზნე ინსტიტუტები, ა.შ.) და მისი მნიშვნელობა და ღირებულება დისერტაციის პროექტისთვის.
- მოწვევის წერილი ფრანგული სამეცნიერო დაწესებულებიდან, რომელიც თავიანთ გუნდში მიიღებს ქართველ დოქტორანტს სამი თვით.
- პასპორტის ასლი (პასპორტი მოქმედი უნდა იყოს საფრანგეთში სასტიპენდიო პროგრამის დასრულების შემდგომ 6 თვის განმავლობაში).

დოსიეები წარმოდგენილი უნდა იყოს ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე. შეფასება დამოკიდებული იქნება მის სამეცნიერო ხარისხსა და კვლევითი პროექტის განსახორციელებლად საფრანგეთში გამგზავრების რელევანტურობაზე. ფრანგული ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

დაინტერესებულმა პირებმა დოსიეები უნდა გაუგზავნონ ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის კოორდინატორს, დავიდ ტერტრის, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: david.teurtrie@fgu.ge.

ცხრილი

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 10 აპრილი. საბოლოო გადაწყვეტილება სტუდენტებს ეცნობებათ არაუგვიანეს 2020 წლის 30 აპრილისა. საფრანგეთში გამგზავრების პერიოდია 2020 წლის 15 მაისიდან 1 ოქტომბრის შუალედში.

შედეგი

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის მხრიდან, სტიპენდიანტ დოქტორანტებს მოეთხოვებათ წერილობითი ანგარიშის წარმოდგენა მათი მისიის შესახებ, საქართველოში დაბრუნებიდან არაუგვიანეს სამი თვის პერიოდისა. აგრეთვე, სტიპენდიანტებს შესაძლოა მოეთხოვოთ საკუთარი კვლევის წარმოდგენა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტისა და მისი პარტნიორების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში. სურვილის შემთხვევაში, სტიპენდიანტის სამუშაო ფურცელი განთავსდება ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ვებსაიტზე.

UNIVERSITE FRANCO GEORGIENNE

INSTITUT FRANÇAIS GÉORGIE

სახელი და გვარი	
დაბადების ადგილი და თარიღი	
საფოსტო მისამართი	
ელექტრონული მისამართი	
ტელეფონი	
ბოლო დიპლომები (სათაური, დაწესებულება, თარიღი)	
სამუშაო გამოცდილება ბოლო სამი წლის განმავლობაში	
ფრანგული ენის დონე	
წინა ვიზიტები საფრანგეთში (სასწავლებლად, კვლევითი მიზნებით)	
ენები, რომელსაც ფლობთ (წერილობითი, ზეპირი დონე)	
გამოქვეყნებული ნაშრომები	

კანდიდატის საკვლევი პროექტი

UNIVERSITE FRANCO GEORGIENNE

INSTITUT FRANÇAIS GÉORGIE

სახელი და გვარი	
სადოქტორო დისერტაციის სათაური	
სწავლის დაწყების თარიღი	
უნივერსიტეტი/კვლევითი დაწესებულება	
სფერო	
დისერტაციის ხელმძღვანელი	
დისერტაციის დაცვის სავარაუდო თარიღი	
სამეცნიერო პროექტის სათაური, რომლისთვისაც სტიპენდიაზე შემოგაქვთ განაცხადი	
მიმღები დაწესებულება საფრანგეთში	
საფრანგეთში ყოფნის თარიღი და ადგილი	
დაფინანსების სხვა შესაძლო წყაროები	